საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №64/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 14 ივლისის №64 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის №64/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- -- სასამართლოს მოსამართლემ -- -- განახორციელა მოსამართლის სტატუსითვის შეუფერებელი ქმედება. კერძოდ, უნებართვოდ ისარგებლა მისი კუთვნილი ელექტროენერგიით. ამასთან, -- -- განმარტებით, მოსამართლემ მის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულო დამოკიდებულება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 28 დეკემბერს მოსამართლე -- -- შეიძინა --კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა ქ. --, -- ქუჩა №-- (ბინა №--).

2020 წლის 6 აგვისტოს, -- -- დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 13 ივლისს მოსამართლე -- -- საცხოვრებელ ბინაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები რა დროსაც, ბინის სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული პირების მიერ გამოყენებულ იქნა კორპუსის სადარბაზოში არსებული ელექტროენერგია.

აღნიშნული ფაქტი, მიუღებელი აღმოჩნდა -- -- მეზობლის - -- --, ვინაიდან სადარბაზოში განთავსებული ელექტროენერგია, როგორც შემდგომში გაირკვა, წარმოადგენდა მის საკუთრებას.

-- -- განცხადებით, მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდა მისი კუთვნილი ელექტროენერგიით უნებართვო სარგებლობის ფაქტი, მან მიმართა ბინაში მომუშავე პირს და კატეგორიულად მოითხოვა შეეწყვიტათ მისი კუთვნილი ელექტროენერგიით სარგებლობა.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ, -- -- განმარტებით, მას ტელეფონით დაუკავშირდა მოსამართლე -- -- და სთხოვა, რომ ხელი არ შეეშალა მის ბინაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის, მიეცა მათთვის ელექტროენერგია და ის თავად აანაზღაურებდა დახარჯული ენელექტროენერგიის საფასურს, ხოლო თუ რამე შენიშვნა ექნებოდა მას დაკავშირებოდა.

-- -- საუბრის შემედეგ, -- -- ცნობილი გახდა, რომ მოსამართლის ბინის სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული პირები, მისი მოთხოვნის მიუხედავად, კვლავ განაგრძობდნენ მისი ელექტროენერგიით უნებართვო სარგებლობას, რის გამოც, -- -- იძულებული გახდა კვლავ აღეკვეთა მისი ელექტროენერგიით უნებართვო სარგებლობის ფაქტი. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, საჩივრის ავტორის განმარტებით, მის ტელეფონზე განუწყვეტლივ რეკავდა -- --, თუმცა იგი არ პასუხობდა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც მის ტელეფონზე არ შეწყდა სატელეფონო ზარები, თავად დაინტერესდა თუ ვინ იყო -- -- და აღმოაჩინა, რომ იგი იყო მოსამართლე.

აღნიშნული ინფორმაციის გაგების შემდეგ, -- -- და -- -- შორის კვლავ გაიმართა სატელეფონი საუბარი, რა დროსაც, საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლე კატეგორიულად სთხოვდა ელექტროენერგიით სარგებლობის უფლებას, რაზეც -- -- განაცხადა უარი.

საჩივრის ავტორის შეფასებით, პირადი საუბრის პროცესში, მოსამართლე მის მიმართ იჩენდა უპატივცემულო დამოკიდებულებას და კატეგორიული ტონით სთხოვდა მას ელექტროენერგიით სარგებლობის უფლების მიცემას.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 14 ივლისის №64 საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის

შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.[1]

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

მოცემულ შემთხვევაში დისციპლინური საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს ხომ არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

მოცემული დისციპლინური გადაცდომის სამართლიანად და ობიექტურად შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მოსამართელთა პროფესიული ქცევის ეთიკურ სტანდარტებზე.

კერძოდ, საქართველოს სამოსამართლეო ეთიკის წესების მე-16 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად. მოსამართლის პირადი, საზოგადოებრივი და პროფესიული ქცევა კარგად ინფორმირებული, ობიექტური, კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ უნდა აღიქმებოდეს ღირსეულ უმწიკლო ქცევად.

თუმცა აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაზე, რომლის თანახმად, არ იქნებოდა სწორი პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება გადაცდომასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. კერძოდ, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ პროფესიული სტანდარტები, წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა მიისწრაფოდეს. ამ სტანდარტების იმ გადაცდომებთან გაიგივება, რომელმაც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოშოს გამოიწვევს სტანდარტების სამომავლო განვითარების შეჩერებას და დააკარგვინებს მათ აზრს. იმისათვის, რომ გადაცდომას თან მოჰყვეს დისციპლინური სასჯელი, გადაცდომა უნდა იყოს არა მხოლოდ დისციპლინური სტანდარტების დარღვევა, არამედ სერიოზული და არასაპატიო ქმედება.[2]

ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოსამართლე -- -- სამეზობლო ურთიერთოებში წარმოქმნილი უთანხმოების დროს, არ მოქმედებდა მოსამართლის სტატუსით. -- -- საქმიანობის გამოკვლევის ინიციატორი თავად გახლდათ საჩივრის ავტორი.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის 27-ე პუნქტის თანახმად, მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რადგან სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი აქვთ. მოსამართლეები, როგორც მოქალაქეები, სარგებლობენ ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც, პირველ რიგში,

---

[1] დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა;

[2] იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვა #3 (2002) პუნქტი 60.

დაცულია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით (გამოხატვის თავისუფლება, რელიგიური თავისუფლება და სხვა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის შესწავლის შედეგად, გამოვლენილი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის ისეთ სტანდარტს, რომელიც დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა მოსამართლის -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №64/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი